



რეზისტენტული *Acinetobacter*-ით გამოწვეული ნოზოკომიური ინფექცია

გამომწვევი - გრამ(-) კოკობაქტერია, იწვევს როგორც ოპორტუნისტულ, ასევე სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებულ ინფექციებს.

რეზისტენტობა/შარდი რეზისტენტობა - მე-2 თაობის ცეფალოსპორინები, ამპიცილინი, კარბენიცილინი, გენტამიცინი, ტობრამიცინი (ზომიერი მგრძნობელობა კომბინაციაში), ამიკაცინი (ზომიერი მგრძნობელობა კომბინაციაში), ფტორქინოლონები

ახასიათებს ბეტალაქტამური რეზისტენტობა (პროდუცირებს პლაზმიდურ და ქრომოსომულ ენზიმებს), ბეტალაქტამაზას პროდუქციის მძლავრი ინდუქტორია ცეფალოსპორინებით მკურნალობა.

მგრძნობელობა - ცეფტაზიდიმი, კარბაპენემი, სულბაქტამი, კოლისტინი, ტიგეციკლინი

მიკრობის ლოკალიზაცია - კანის საფარველი, რესპირატორული ტრაქტი, ინტრავასკულარული კათეტერები, კოლონიზირდება ტრაქეოსტომის მიდამო, შეიძლება გამოიყოს ნახველიდან, შარდიდან, განავლიდან, ვაგინური სეკრეტიდან, ჰოსპიტალის სხვადასხვა საგნებიდან/ზედაპირებიდან (ძლებს 5 თვემდე) და ჰაერიდან.

რეზერვუარი/წყარო - კოლონიზებული/ინფიცირებული პაციენტი, მედპერსონალი, სტაციონარული ობიექტები.

განვითარების მექანიზმი - სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული-90%, ოპორტუნისტული (იშვიათად- საყოფაცხოვრებო პნევმონია)-4%.

გადაცემის ფაქტორები

- ✓ სამედიცინო პერსონალის ხელები, ინვაზიური მოწყობილობები, დაბინძურებული მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო ინსტრუმენტები და სადიაგნოსტიკო (ენდოსკოპიური) აპარატურა, დაბინძურებული სტაციონარული ზედაპირები.

მიკრობით ინფიცირება/კოლონიზაცია/კონტამინაცია - ვითარდება ჰოსპიტალიზაციიდან 48სთ-1 კვირაში

მიკრობით გამოწვეული დაავადებები:

- ✓ ვენტილაციასთან ასოცირებული პნევმონია;
- ✓ საშარდე სისტემის ინფექცია კათეტერიზებულ პაციენტებში;
- ✓ ბაქტერიემია, სეფსისი;
- ✓ ჭრილობის და დამწვრობის ინფექცია;
- ✓ კათეტერასოცირებული ინფექცია;



- ✓ ნაზალური ზონდირების ფონზე განვითარებული სინუსიტი;
- ✓ პოსტნეიროქირურგიული მენინგიტი.

დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები

- ✓ ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია და არარაციონალური ანტიბიოტიკოთერაპია;
- ✓ ინვაზიური მოწყობილობების არსებობა და ხშირი ინვაზიური მანიპულაციები;
- ✓ თანმხლები ქრონიკული დაავადებები და ასაკი;
- ✓ ენტერალური კვება;
- ✓ მედპერსონალის მხრიდან უსაფრთხოების სტანდარტული წესების უგულვებელყოფა;
- ✓ დეზინფექცია/სტერილიზაციის წესების უხეში დარღვევა.

ლაბორატორიული დადასტურების კრიტერიუმი

- ✓ საკვლევი მასალის (სისხლი, კათეტერები, შარდი და სხვ) კულტივაციური კვლევა.

ეპიდლონისძიებები:

- ✓ რეზისტენტული შტამით კოლონიზირებულის კონტაქტური/კოკორტული იზოლაცია;
- ✓ ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი აპარატურა და მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო ინვენტარი დეზინფიცირდება დადგენილი წესით;
- ✓ პალატა მუშავდება დადგენილი წესით გამრეცხი/სადეზინფექციო საშუალებით, ზედაპირები/ობიექტები(მატრასი, საწოლი და სხვ) იწმინდება დეზინფექტანტით(მიმდინარე და დასკვნითი დეზინფექცია);
- ✓ სამედიცინო პერსონალი იცავს ხელის ჰიგიენის წესებს და უსაფრთხოების სტანდარტულ ღონისძიებებს;
- ✓ ინფიცირებული იცავს ხელის ჰიგიენის წესებს;
- ✓ ინფიცირებულთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ნარჩენები უტილიზირდება დადგენილი წესით, არ საჭიროებს სპეციალურ დამუშავებას;
- ✓ ინფიცირებულის თეთრეული იცვლება უსაფრთხოების წესების შესაბამისად;
- ✓ ეპიდაფეთქებისას, წყაროს იდენტიფიკაციის მიზნით, ტარდება სტაციონარული გარემო ობიექტების ტესტირება(სანიტარული კვლევა);
- ✓ *Acinetobacter* -ით გამოწვეული ნოკოზოკომიური ინფექციის ცალკეული და ჯგუფური შემთხვევები ექვემდებარება ანგარიშგებას დადგენილი წესით(ბრძანება 01-02/5).

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- ✓ ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება;



- ✓ ენდოსკოპიური აპარატურის, მრავალჯერადი ინვაზიური მოწყობილობის, ჰოსპიტალის ზედაპირების/ობიექტების დეზინფექცია/სტერილიზაციის პროცესზე ზედამხედველობა;
- ✓ უსაფრთხოების სტანდარტული წესების დაცვა და ხელის ჰიგიენა პაციენტთან ყოველი კონტაქტის წინ და შემდგომ.

წყარო:

1. Guide to the Elimination of Multidrug-resistant *Acinetobacter baumannii* Transmission in Healthcare Settings, An APIC Guide 2010
2. The epidemiology and control of *Acinetobacter baumannii* in health care facilities.
Fournier PE¹, Richet H. 2006
3. Control of an outbreak of multidrug-resistant *Acinetobacter baumannii*-calcoaceticus colonization and infection in an intensive care unit (ICU) without closing the ICU or placing patients in isolation.
Wilks M¹, Wilson A, Warwick S, Price E, Kennedy D, Ely A, Millar MR. 2006
4. „ბაქტერიული ინფექციები“ ა. ნანუაშვილი 2009წ